

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან

საქართველო - რუსეთის ურთიერთობები ევროპული პოლიტიკის ნაწილია და ევროპული პოლიტიკის კრილში უნდა იყოს წარმოჩენილი.

ასევე, პასუხი ამ პოლიტიკაზე უნდა იყოს ერთიანი და ნათელი, რომელიც შემდეგ დებულებებს ეფუძნება:

- როგორც ყველა სხვა ქვეყანასთან, საქართველო რუსეთთანაც ესწრაფვის თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობებს;
- ერთიანი, სტაბილური, განვითარებული, დემოკრატიული და ძლიერი საქართველო, კავკასიაში უსაფრთხოების გაძლიერების, წინსვლისა და მეზობლებთან ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის გარანტია;
- ვერცერთი ქვეყნის, მათ შორის ვერც რუსეთის ფედერაციის კეთილდღეობა ვერ იქნება მიღწეული მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციისა და მისი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფით.

კიდევ ერთხელ, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ვადასტურებ საქართველოს სწრაფვას კეთილმეზობლური, ერთმანეთის ეროვნული ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობისაკენ.

მაგრამ, ბუნებრივია, სანამ შედეგა ასეთი დიალოგი და, სანამ ეს კონტექსტი ნათლად იქნება გაგებული და წაკითხული, ძალიან მნიშვნელოვანია არ შევაჩეროთ ჩვენი ძალისხმევა და გავაღრმავოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც არალიარების პოლიტიკაში მდგომარეობს.

ამ თვალსაზრისით, არცერთი წამით არ შეიძლება შესვენება. ამ მიმართულებითაც ჩვენ გვაქვს წარმატება, იმიტომ, რომ გაეროში, ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების შესახებ რეზოლუციას სულ უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს მხარს.

ამ პოლიტიკის პარალელურად ჩვენ მუდმივად ვუზღავნით გზავნილს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომ ჩვენს მოქალაქეებს მიეცეთ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სიკეთეებით სარგებლობის მაქსიმალური შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით, ყველამ გავიაზროთ ის, რომ ჩვენი ურთიერთობა

ჩვენს ჩრდილოელ პარტნიორთან ხშირად მიმდინარეობს რბილი ძალის აქტიური გამოყენების ფონზე.

ამ ვითარებაში რუსული რბილი ძალის შეტევების გასანიტრალეზებად აუცილებელია კოორდინირებული მუშაობა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.

აქვე, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა რუსეთთან, რომელიც მნიშვნელოვანია, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს რბილი ძალის მეშვეობით და მე მომიწევს გავიმეორო ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ განსაკუთრებით ასეთი თანამშრომლობა ეხება „გაზპრომს“.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის სურს. ამიტომ, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მანდატით დადგენილი წითელი ხაზების ფარგლებში, გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ

ეროვნული უშიშროების საბჭო არის ადგილი, სადაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა წარმომადგენლები და პრეზიდენტი, თათბირობენ ქვეყნის უშიშროების უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით.

ამ საბჭოს ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც რისკების პრევენციის, ისე მათზე სტრატეგიის დაგეგმვის, სამხედრო - სამოქალაქო ურთიერთობის კონტროლის გაღრმავების თვალსაზრისით. ეს არის უნიკალური ფორმატი, სადაც სამივე ხელისუფლების წარმომადგენელი ხვდება ერთმანეთს.

რამდენიმე დღის წინ ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტს ოცი წელი შეუსრულდა. ბუნებრივია, ჩვენ ამ ინსტიტუტის ეფექტიან ფუნქციონირებას მომავალშიც განვაგრძობთ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო, სამწუხაროდ, არ არის მშვიდ რეგიონში და რისკები ჩვენი რეგიონის მასშტაბით, შარშან შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაღრმავდა.

არსებულ საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ, საქართველომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის გაღრმავების თვალსაზრისით:

- დასახული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს NATO-ს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაცია;
- აგვისტოში გაიხსნა ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი;
- 2015 წლის ივლისში NATO -საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა მასშტაბური, მრავალეროვნული სამხედრო სწავლება “Agile Spirit 2015“, რომელშიც მონაწილეობდნენ ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები;
- შარშანვე, საფრანგეთთან ხელმოწერილი კონტრაქტების საფუძველზე, დაიწყო თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნის პროცესი.
- გაიმართა მასშტაბური სამეთაურო-სამშტაბო სწავლება „დიდგორი-2015“.

საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტად რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ჩვენ გამოვიყენებთ NATO - ს მიერ მოცემულ ყველა ინსტრუმენტს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და გავაძლიერებთ ძალისმხევას საქართველოს ალიანსში გაწევრებისათვის.

ეს არის სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ და ამ მიზნის კვალობაზე, არა მარტო პოლიტიკურად ინტეგრაციისკენ ვმოღვაწეობთ, არამედ ყოველდღიურად ვზრდით ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას სწორედ NATO-ს სტანდარტების შესაბამისად და ალიანსის პარტნიორებთან თანამშრომლობით.

ამავე დროს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, განვაგრძობთ აქტიურ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ, როგორც საერთაშორისო მისიებში, ასევე ქვეყნის შიგნით აქტიური პრევენციული პოლიტიკით და შესაბამისად, ვაღრმავებთ პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ ვუთხრა მადლობა ქართველ ჯარისკაცს, სამხედროს, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით, სიმამაცით და ბრძოლისუნარიანობით, ასახელებს ჩვენს სამშობლოს მსოფლიოს მასშტაბით და არ შემიძლია ქედი არ მოვიხარო იმ სისხლის წინაშე, რომელიც ჩვენმა თანამოძმეებმა ბრძოლის ველზე დაღვარეს.

ევროკავშირი და აშშ

არსებულ რთულ და დინამიურად ცვალებად საერთაშორისო გარემოში, უაღრესად მნიშვნელოვანია პროაქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება და საქართველოს თემატიკის აქტიურად წარმოჩენა მსოფლიო დღის წესრიგში.

2015 წელს განხორციელებულმა ვიზიტებმა აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებსა და აზიის სახელმწიფოებში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოთა მეთაურების, ევროკავშირისა და NATO-ს ლიდერების ჩამოსვლამ საქართველოში, საშუალება მოგვცა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება გაგვემახვილებინა ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე.

საქართველომ შეძლო სრულად დაეკმაყოფილებინა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა მოთხოვნა.

ბუნებრივია, 2016 წელს, ჩვენ ველით, რომ ევროპის სახელმწიფოთა კარები გაიხსნება საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი მიმოსვლისათვის.

ჩვენ უნდა გავააქტიუროთ აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობა. გარდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებაში ახალი იმპულსის გაჩენისა, ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ბევრ სხვა სფეროშიც თანამშრომლობის გაღრმავებისათვის გვაქვს ჯერაც აუთვისებელი რესურსი.

აქ ბევრ სხვა მიმართულებასთან ერთად, არის პოტენციალი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ საქართველო უფრო აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი ვაშინგტონში და უფრო აქტიურად ჩანდეს შეერთებული შტატების პოლიტიკურ რადარებზე.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მიზნად დავისახოთ ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის განხორციელება.

ახალ საფეხურზე გადასვლა ასევე გულისხმობს, სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ ჩამოყალიბებას.

ევროპული საქართველო უნდა იქცეს ჩვენი რეგიონის სტაბილურობისა და კეთილდღეობის პლაცდარმად.

ჩვენი ამოცანაა, ვაჩვენოთ ჩვენს პარტნიორებს და საერთაშორისო თანამეგობრობას,

რომ ევროპული კეთილდღეობა, სტაბილურობა ევროპაში, რეალურად შედგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტაბილური იქნება საქართველო და კავკასია.

ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია გავაღრმავოთ თანამშრომლობა ჩვენს რეგიონში და მის გარეთ სხვა ქვეყნებთან; გავამრავლოთ ის პროექტები, რომლებიც საქართველოს ძალიან მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ამ გეოპოლიტიკურ რუკაზე და საჭიროა, ნათლად დავინახოთ ყველამ, რომ საქართველოს გარეშე ევროპული კეთილდღეობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

მაგრამ რა არის მთავარი პრობლემა ამ რეგიონში?

ჩვენ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, რომ ეს არის ახალი დემოკრატიების პრობლემა. საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, ის წარმატებული დემოკრატიული ქვეყნები, რომლებმაც „გაბედეს“ და გააკეთეს საკუთარი თავისუფალი არჩევანი, ტერიტორიული პრობლემების წინაშე დადგნენ.

ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, ჩვენთვისაც და ჩვენი პარტნიორებისთვისაც, შემაშფოთებელი იყო ის გადაწყვეტილებები, ის ე.წ. ხელშეკრულებები, რომლებიც რუსეთმა გააფორმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან და ამის თაობაზე, როგორც ჩვენ, ასევე ჩვენმა პარტნიორებმა გამოვთქვით აღშფოთება. პასუხი ამ პოლიტიკაზე უნდა იყოს ერთიანი ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკა, რომელიც ნათლად საუბრობს, რომ შეუძლებელია ევროპაში, შეუძლებელია სამყაროს ამ ნაწილში, კიდევ ეთხელ გაივლოს ხელოვნური გამყოფი ხაზები.

საქართველო - რუსეთის ურთიერთობები ევროპული პოლიტიკის ნაწილია და ევროპული პოლიტიკის ჭრილში უნდა იყოს წარმოჩენილი.

ასევე, პასუხი ამ პოლიტიკაზე უნდა იყოს ერთიანი და ნათელი, რომელიც შემდეგ დებულებებს ეფუძნება:

- როგორც ყველა სხვა ქვეყანასთან, საქართველო რუსეთთანაც ესწრაფვის თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობებს;
- ერთიანი, სტაბილური, განვითარებული, დემოკრატიული და ძლიერი საქართველო, კავკასიაში უსაფრთხოების გაძლიერების, წინსვლისა და მეზობლებთან ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის გარანტია;
- ვერცერთი ქვეყნის, მათ შორის ვერც რუსეთის ფედერაციის კეთილდღეობა ვერ

იქნება მიღწეული მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციისა და მისი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფით.

კიდევ ერთხელ, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ვადასტურებ საქართველოს სწრაფვას კეთილმეზობლური, ერთმანეთის ეროვნული ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობისაკენ.